სსიპ გარემოს ეროვნული სააგენტო

დავით აღმაშენებლის გამზირი №150
0112 თბილისი, საქართველო
+995 32 2439503 / +995 32 2439510
info@nea.gov.ge
nea.gov.ge

03 სექტემბერი 2025

N 21/8624

კასპის მუნიციპალიტეტის მერიას

მცხეთის მუნიციპალიტეტის მერიას

ასლი: სსდ გარემოსდაცვითი ზედამხედველობის დეპარტამენტს

ასლი: შპს „ენ-სი ჯგუფი 2022''-ს

ელფოსტა: zmgreen@gamma.ge

გაცნობებთ, რომ 2025 წლის 1 სექტემბერს, „გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსის“ შესაბამისად, დაგეგმილ საქმიანობაზე (მცხეთის და კასპის მუნიციპალიტეტებში, მდ. მტკვარზე ქსანი ჰესის (ქსანი 1 და ქსანი 2 ჰესების) და 110 კვ ძაბვის ქვესადგურების მშენებლობის და ექსპლუატაციის პროექტი) გარემოსდაცვითი გადაწყვეტილების მიღების მიზნით, შპს „ენ-სი ჯგუფი 2022“-მა სსიპ გარემოს ეროვნულ სააგენტოში წარმოადგინა **გარემოსდაცვითი გადაწყვეტილების მიღების თაობაზე განცხადება და საქმიანობის გარემოზე ზემოქმედების შეფასების (გზშ) ანგარიში.** განცხადების შესახებ ინფორმაცია, თანდართულ დოკუმენტაციასთან ერთად, განთავსებულია გარემოსდაცვით საინფორმაციო პორტალზე- https://ei.gov.ge/. დეტალური ინფორმაცია იხილეთ ბმულზე: https://ei.gov.ge/ka/info/ac323df3-9471-4dc4-a465-a4b3090bacf3.

განცხადებით გათვალისწინებულ საქმიანობასთან და დოკუმენტაციასთან დაკავშირებით წერილობითი შენიშვნები და მოსაზრებები შეგიძლიათ წარმოადგინოთ სსიპ „გარემოს ეროვნულ სააგენტოში“, **2025 წლის 28 ოქტომბრის ჩათვლით,** მისამართზე: დ. აღმაშენებლის გამზ.150, 0112 თბილისი, ან ელფოსტაზე: eia@mepa.gov.ge (გთხოვთ, შენიშვნის/მოსაზრების ელფოსტაზე გამოგზავნისას მიუთითოთ ადრესატი: სსიპ გარემოს ეროვნულ სააგენტოს).

დამატებით გაცნობებთ, რომ განცხადებით გათვალისწინებული საქმიანობის გზშ-ის ანგარიშის საჯარო განხილვები გაიმართება: **2025 წლის 8 ოქტომბერს, 12:00 საათზე, კასპის მუნიციპალიტეტის სოფ. აღაიანის ადმინისტრაციული ერთეულის შენობაში, 2025 წლის 8 ოქტომბერს, 15:00 საათზე, კასპის მუნიციპალიტეტის სოფ. კავთისხევის ადმინისტრაციული ერთეულის შენობაში, 2025 წლის 9 ოქტომბერს, 12:00 საათზე, მცხეთის მუნიციპალიტეტის სოფ. ქსნის ადმინისტრაციულ ერთეულის შენობაში.** გზშ-ის ანგარიშის საჯარო განხილვის შესახებ ინფორმაცია ასევე განთავსებულია გარემოსდაცვით საინფორმაციო პორტალზე.

,,საჯარო განხილვის წესის დამტკიცების შესახებ" საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის მინისტრის 2018 წლის 22 თებერვლის №2-94 ბრძანების თანახმად, **გზშ-ისადმი დაქვემდებარებულ საქმიანობაზე სკოპინგის ანგარიშისა და გზშ-ის ანგარიშის საჯარო განხილვას უნდა ესწრებოდეს საქმიანობის განმახორციელებელი ან/და კონსულტანტი (ასეთის არსებობის შემთხვევაში), ასევე შესაბამისი მუნიციპალიტეტის აღმასრულებელი ორგანოს ან/და წარმომადგენლობითი ორგანოს წარმომადგენლები**.

გთხოვთ, უზრუნველყოთ ზემოაღნიშნული გზშ-ის ანგარიშის საჯარო განხილვის შესახებ ინფორმაციის განთავსება როგორც **თქვენი მუნიციპალიტეტების მერიების** საინფორმაციო დაფაზე, ოფიციალურ ვებგვერდსა და **Facebook-ის** გვერდზე, აგრეთვე დაგეგმილი საქმიანობის განხორციელების ადგილის სიახლოვეს (**სოფ. მირიანი, სოფ. კავთისხევი, სოფ. ქვემო ხანდაკი, სოფ. ხიდისყური, სოფ. აღაიანი, სოფ. ქსანი, სოფ. სოფ. სასხორი, სოფ. ძეგვი**), ინფორმაციის გავრცელების დამკვიდრებულ ადგილებზე (მაგ: ტრანსპორტის გაჩერება, სკოლა, სკოლამდელი აღზრდის დაწესებულება, სავაჭრო ცენტრი, ფოსტის ოფისი ან/და საზოგადოებრივი თავშეყრის სხვა ადგილი) და განთავსების დამადასტურებელი დოკუმენტაციის სსიპ „გარემოს ეროვნული სააგენტოსთვის“ გამოგზავნა ფოტომასალის სახით.

დანართის სახით გიგზავნით შპს „ენ-სი ჯგუფი 2022''-ის ზემოაღნიშნულ განცხადებას, თანდართულ დოკუმენტაციასთან ერთად და ინფორმაციას საჯარო განხილვის შესახებ.

საჯარო განხილვასთან დაკავშირებულ საკითხებზე შეგიძლიათ დაუკავშირდეთ სსიპ გარემოს ეროვნულ სააგენტოს (დ. აღმაშენებლის გამზ. 150, 0112 თბილისი, ელფოსტა: eia@mepa.gov.ge, ტელ: +995 32 2439503/+995 32 2439510).

დანართები:

- საჯარო განხილვის შესახებ განცხადება - 2 გვერდი

- გარემოსდაცვითი გადაწყვეტილების მიღების თაობაზე განცხადება და პროექტის შესახებ დოკუმენტაცია - 9 ფაილი

პატივისცემით,

თამარ შარაშიძე

სააგენტოს უფროსი - მ.შ.

სსიპ გარემოს ეროვნული სააგენტო

https://edocument.ge/mea/public/#/8624-21-2-202509031101

QUALIFIED ELECTRONIC SIGNATURE